

საქართველოს პარლამენტის, მოლდოვას რესპუბლიკის  
პარლამენტისა და უკრაინის ვერხოვნა რადას  
საპარლამენტაშორისო ასამბლეის

## რეზოლუცია

რუსეთის ფედერაციის მიერ ქერჩის სრუტეში  
უკრაინის წინააღმდეგ აგრესიული ქმედებების დაგმობის შესახებ

საერთაშორისო სამართლის ნორმების უზენაესობის, და  
საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების მთლიანობისა და  
ხელშეუხებლობის პრინციპების, როგორც ქვეყნებს შორის  
ურთიერთობების ძირითად პრინციპის აღიარებით:

იმის გათვალისწინებით, რომ 25 ნოემბერს, ქერჩის სრუტეში, რუსეთი,  
კიდევ ერთხელ, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით,  
სამხედრო ძალის გამოყენებით, თავს დაესხა და გაიტაცა უკრაინული  
ხომალდები და მათი ეკიპაჟები;

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაციის ეს ქმედებები,  
წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის და სუვერენიტეტისა და  
ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების უხეშ დარღვევას;

იმის გათვალისწინებით, რომ ეს ქმედებები, წარმოადგენს პირდაპირი  
სამხედრო აგრესიის პოლიტიკის გაგრძელებას რუსეთის ფედერაციის  
მხრიდან; საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკისა და უკრაინის  
ტერიტორიების უკანონო ოკუპაციას; სამართლებრივად, ამ  
სახელმწიფოების იურისდიქციაში არსებული ტერიტორიების  
პირდაპირ და შენიღბულ ანექსიას; უკანონო სამხედრო ყოფნის  
შენარჩუნებას და გაზრდას, და ამ ოკუპირებულ და ანექსირებულ  
ტერიტორიებზე უკანონო ბორდერიზაციას;

იმის გათვალისწინებით, რომ სამი ხელმომწერი სახელმწიფოს  
პარლამენტები, არასოდეს შეურიგდებიან რუსეთის მხრიდან  
ოკუპაციასა და ანექსიას, სამხედრო ძალის გამოყენებით და უკანონო  
ქმედებებს რუსეთის ფედერაციის მხრიდან;

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან შიდა პოლიტიკაში და საშინაო საქმეებში ჩარევა აღიარებულია უკანონოდ და დესტაბილიზაციის გამომწვევად, მთელ რეგიონსა და ზოგადად, საერთაშორისო თანამეგობრობაში;

კიდევ ერთხელ, ვადასტურებთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, მოლდოვას პარლამენტის თავმჯდომარისა და უკრაინის რადას თავმჯდომარის მიერ, 2018 წლის 2 მარტს, კომინეუში გაკეთებული ერთობლივი განცხადების სულისკვეთებას.

საქართველოს პარლამენტის, მოლდოვას რეპუბლიკის პარლამენტისა და უკრაინის ვერხოვნა რადას საპარლამენტაშორისო ასამბლეა, მყარი გადაწყვეტილების საფუძველზე:

- ადასტურებს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ურყევ მხარდაჭერას;
- მკაცრად გმობს რუსეთის ფედერაციის აგრესიულ სამხედრო ქმედებებს ქერჩის სრუტეში;
- მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის მთავრობას დააბრუნოს ხომალდები და დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს უკანონოდ დაკავებული უკრაინელი მოსამსახურეები;
- მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას უზრუნველყოს თავისუფალი საერთაშორისო ნაოსნობა ქერჩის სრუტესა და აზოვის ზღვაში;
- მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას შეწყვიტოს აგრესიული და პროვოკაციული ქმედებები ოკუპირებულ და ანექსირებულ ტერიტორიებზე და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმებების, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე, დაუყოვნებლივ დაიწყოს უკანონოდ ოკუპირებული და ანექსირებული ტერიტორიების დე-ოკუპაცია, შეწყვიტოს მეზობელი ქვეყნების საშინაო საქმეების დესტაბილიზაცია და პატივი სცეს ამ ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს;

- მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას მიიღოს ზომები რუსეთის ფედერაციის მთავრობის უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც იწვევენ დესტაბილიზაციასა და დამაბულობის ესკალაციას ქერჩის სრუტეში და უფრო ზოგადად, მის უშუალო სამეზობლოსა და მის ფარგლებს გარეთაც;
- მოუწოდებს ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორებს, გამოხატონ პოლიტიკური მხარდაჭერა აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოებისადმი და მათი სუვერენული არჩევანისადმი, იმოქმედონ, საერთო დემოკრატიული ფასეულობების შესაბამისად და ისწრაფოდნენ, გახდნენ დასავლური ქვეყნების გაერთიანების წევრები;
- მოუწოდებს საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკისა და უკრაინის მთავრობებს, გააერთიანონ ძალისხმევა, რათა უზრუნველყონ უკრაინული ხომალდებისა და ეკიპაჟის წევრების გათავისუფლება; უზრუნველყონ ქერჩის სრუტესა და აზოვის ზღვაში უსაფრთხო საერთაშორისო ნაოსნობა; და იმოქმედონ მათი ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შემდგომი დარღვევების წინააღმდეგ.